## ოქროსწყლის ტბები

## მარშრუტის აღწერა

*ტურის ვებ-გვერდი*

*შენიშვნა: მდინარის მხარეების/ნაპირების და შენაკადების განსაზღვრება (მარცხენა ან მარჯვენა) მოცემულია სტანდარტული წესის შესაბამისად: მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით (ჩვენი მოძრაობის მიმართულების გაუთვალისწინებლად).*

### ნაწილი 1
### გზა დიდი ოქროსწყლის ტბისკენ

სოფელი ხაიშიდან სამხიდიანი სატვირთოთი სოფელ ლუხამდე, იქიდან კი ორმელეთის ხეობაში მივდივართ. ორმელეთის ხეობის სატყეო გზაზე სატვირთოთი დაახლოებით 17 კილომეტრს გავივლით, მდინარე ორმელეთის (ნენსკრას მარჯვენა შენაკადი; თავად ნენსკრა ენგურის მარჯვენა შენაკადია) მარჯვენა მხარეს.

ამის შემდეგ გზას ფეხით ვაგრძელებთ. დაახლოებით 7 კილომეტრს გრუნტის სამანქანე გზაზე გავივლით. აღნიშნული 7 კილომეტრის უდიდეს ნაწილს ხეობის „მთავარ“ გზაზე გავივლით. აღნიშნული გზა შედარებით განიერია და ის მისი განშტოებებისგან ადვილად გაირჩევა. ეს იმ გზის გაგრძელებაა, რაც სატვირთოთი გამოვიარეთ. გარკვეულ წერტილში, „მთავარი“ გზიდან მარცხნივ (ქვევით), ტყეში ვუხვევთ და ზემოაღნიშნული 7 კილომეტრის უკანასკნელ დაახლოებით 750 მეტრს ნაკლებად მნიშვნელოვან სატყეო გზაზე გავდივართ. ამ 750 მეტრის გავლის შემდეგ, პატარა მდინარის (ორმელეთის მარცხენა შენაკადი) პირას მდგარ ძველ ვაგოს მივადგებით. ვაგონის შემდეგ გზა ან ბილიკი აღარ გვხვდება. გადავლახავთ მდინარეს და გავუყვებით უბილიკო ტყეს.

## Okrostskhali Lakes

## Route Description

*Tour web-page*

*Note: the sides/banks and tributaries of rivers (whether left or right) are determined by common rule: by looking towards the direction of the river stream (ignoring our moving direction).*

### Part 1
### Way To Didi Okrostskhali Lake

A 3-wd truck, hired in Khaishi village, will lead us first to Lukhi village and then by forest road in Ormeleti Valley. We pass about 17 km (10,56 miles) in Ormeleti Valley forest road by the truck, along the left banks of Ormeleti River (right tributary of Nenskra River, that is the right tributary of Enguri River, a major river of Svaneti).

After that, we continue by feet. About 7 km (4,35 miles) we hike on unpaved old road. First major part of this about 7 km we hike on the valley's "main" road that is broader and can be easily distinguished from other minor forest roads that connect it. This is the same road, that we passed by the truck. In certain point, we turn left (downwards) into the forest from the "main" road and thus the 7 km's last small part (about 750 m / 2461 ft) is to hike on some minor forest road. After this 750 meters we reach some old wagon for foresters, standing on the left bank of a small river (left tributary of Ormeleti). There are no more roads or paths forward after the wagon. So we cross the small river and continue hiking in the forest with no paths.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020



*ვაგონი*

ტყე ჭაობიანია და სავსეა მკბენარი მწერებით. ამიტომ მკაცრად რეკომენდებულია, გვეცვას გრძელმკლავიანი ტანსაცმელი და სხეული მაქსიმალურად გვქონდეს დაფარული. ტყეში დაახლოებით 1 კილომეტრს გავივლით, მომდევნო დაახლოებით 1,5 კილომეტრს კი — ვრცელ მინდორზე. მინდორი მაღალი და უხეში ბალახით არის დაფარული, რაც ლაშქრობისთვის ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენს. მთელ ამ მანძილზე ჩვენ მდინარე ორმელეთის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მივდივართ და ლაშქრობის განმავლობაში მანძილი ჩვენსა და მდინარეს შორის ცვალებადია.

მინდორზე სამ პატარა მდინარეს ვკვეთთ, ორმელეთის მარცხენა შენაკადებს. პირველი მათგანის გადაკვეთის შემდეგ, ჩვენგან მარჯვნივ, ზევით, ახლად გადმოკვეთილი მდინარის მარჯვენა მხარეს, პატარა ქოხს დავინახავთ.

მინდორზე მდინარე ოქროსწყლის ხეობა ჩვენი მოძრაობის მიმართულებიდან მარცხნივ გამოჩნდება. შესაბამისად, მდინარე ოქროსწყალი მდინარე ორმელეთის მარჯვენა შენაკადია. მდინარე ოქროსწყალი დიდი ოქროსწყლის ტბიდან გამოედინება.




***1 — მდინარე ორმელეთის მიმართულება***
***2 — მდინარე ოქროსწყლის მიმართულება***



***The wagon***

The forest is swampy and full of biting insects. So it is strongly recommended to wear long-armed clothes and have our body maximally covered. We hike about 1 km (0,62 miles) in the forest and than about 1,5 km (0,93 miles) in a vast field with tall and rigid grass, being a strong obstacle for hiking. All this distance we are hiking along the left bank of Ormeleti, keeping varying distance from the river itself.

On the field we cross three small rivers (all of them being left tributaries of Ormeleti). After crossing first one, we'll see a small hut right of us, upward, on the right side of recently crossed small river.

On the field, the valley of Okrostskhali River will appear left of our moving direction. It means that Okrostskhali River is a right tributary of Ormeleti River. Okrostskhali River flows out from Didi Okrostskhali Lake.




***1 — Ormeleti River stream***
***2 — Okrostskhali River stream***

Near the confluence (before reaching it) we have to find the place where Ormeleti's stream is shallow and slow ant cross it.

შესართავის მახლობლად (სანამ უშუალოდ შესართავთან მივიდოდეთ) უნდა მოვძებნოთ ორმელეთის შედარებით თავთხელი და ნელი დინება და მდინარე გადავკვეთოთ. ორმელეთის გადაკვეთის შემდეგ ოქროსწყლის ხეობაში ასვლას ვიწყებთ. ხეობაში გადაადგილებისას მდინარე ოქროსწყლის მარჯვენა მხარეს ვიკავებთ (არა მარცხენას), თავად მდინარისგან შედარებით მოშორებით.

თავდაპირველად მაღალ ბალახიან მინდვრებს მივუყვებით. შემდეგ ბალახის სიმაღლე კლებულობს. გარკვეული აღმართის ავლის შემდეგ პატარა ტყეში შევდივართ, სადაც ხეებზე წარწერები გვხვდება. გზას პირდაპირ ვაგრძელებთ, გამოვდივართ ტყიდან და წინ ვრცელი მინდობი გვეშლება, რომლის ბოლოშიც ციცაბო აღმართია ლამაზი ჩანჩქერით.




- *ისარი **1** — მინდვრის გადაკვეთის მიმართულება*
- *წრე — მდინარის გადაკვეთის მიახლოებითი მდებარეობა*
- *ისარი **2** — დიდი ოქროსწყლისკენ აღმართზე ასვლის მიმართულება*

ვკვეთთ მინდორს და დაახლოებით დიდი აღმართის ძირში გადავდივართ მდინარე ოქროსწყლის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე. აქედან ვიწყებთ ფერდობზე ასვლას, ოქროსწყლის ჩანჩქერის გასწვრივ, მდინარის მარცხენა მხარეს. შესაძლებელია ასვლა მაჯვენა მხრიდანაც, მაგრამ მარცხენა მხარე უფრო მოსახერხებელია.

აღმართის დასრულების შემდეგ მივადგებით დიდი ოქროსწყლის ტბას. ტბის მოპირდაპირე ნაპირზე კარგი

After crossing Ormeleti, we begin to ascend in Okrostskhali Valley. In the valley, we keep right side of the river, not left one. But a bit far from the river itself.

First we hike upward in tall-grass fields. Than the height of grass declines. After some ascent we enter a small forest with inscriptions on the trees. We continue the way forward, leave the forest and see the vast field and steep ascent after it, with spectacular waterfalls.




- ***Arrow 1 — Direction of field crossing***
- ***Circle — Approximate location of river crossing point***
- ***Arrow 2 — Direction of ascending to Didi Okrostskhali Lake***

We cross the field and somewhere at the foot of the abovementioned steep ascent, we cross Okrostskhali to its left bank. So we begin to ascend on the slope, along the Okrostskhali Waterfall, on the river's left side. We can take right side as well, but left one is more convenient.

After finishing the ascent, we are at Didi Okrotskhali Lake [Great Goldenwater Lake]. There is a good field for setting a camp on the opposite shore of the lake.

**Part 2**
**Way From Didi Okrostskhali Lake**
**To Patara Okrostskhali Lake**

From Didi Okrostskhali, a pass can be seen on south.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020

მინდორია დასაბანაკებლად.

## ნაწილი 2
## გზა დიდი ოქროსწყლის ტბიდან
## პატარა ოქროსწყლის ტბამდე

დიდი ოქროსწყლის ტბიდან სამხრეთით უღელტეხილი მოჩანს.



*ისრით აღნიშნულია უღელტეხილი დიდი ოქროსწყლის ტბის სამხრეთით.*

ავდივართ აღნიშნულ უღელტეხილზე, საიდანაც თვალწინ გვეშლება: 1) კვაკვას ხეობა ჩვენ წინ და 2) მყინვარი და უღელტეხილი მარჯვნივ.

ხეობისკენ არ ვეშვებით! აქედან მარჯვნივ უნდა წავიდეთ, მყინვარის გასწვრივ, უღელტეხილისკენ.



*მყინვარი და უღელტეხილი (აღნიშნულია ისრით.)*

ეს უღელტეხილი ერთმანეთთან სვანეთს და ოკუპირებულ აფხაზეთს აკავშირებს. შესაბამისად, როდესაც უღელტეხილზე ავალთ, მეორე მხარეს ოკუპირებული ტერიტორიის ხედი გადაგვეშლება.



***The pass south of Didi Okrostskhali Lake is marked by the arrow.***

We ascend there and see 1) Kvakva valley in front of us and 2) a glacier and a pass on right side.

We DO NOT descend to the valley! Our way lies to the right, along the glacier, to the pass.



***The glacier and the pass (marked by the arrow)***

This is the pass connecting Svaneti and occupied Abkhazia. So, once we reach the pass, we see the views on occupied territory on the opposite side.



***View of the territory of Abkhazia from the pass***

DO NOT descend to Abkhazia. It is legal but



*აფხაზეთის ტერიტორიის ხედი უღელტეხილიდან*

არ დაეშვათ აფხაზეთის მხარეს! საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს კანონიერია, მაგრამ სახიფათო, ხოლო უცხოელებისთვის — უკანონო და სახიფათო. არსებობს რუსული საოკუპაციო ძალების ან მათ მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უკანონო დაკავების საფრთხე.

უღელტეხილიდან მარცხნივ ვუხვევთ და ქედის თხემის გასწვრივ მივდივართ. რამდენიმე ასეულ მეტრში, ჩვენგან ქვევით, პატარა ოქროსწყლის ტბას დავინახავთ და მისკენ ვეშვებით. ტბა ჩვენი ტურის ბოლო წერტილია.

უკან, ორმელეთის ხეობისა და სოფელი ლუხისკენ, იმავე გზით ვბრუნდებით.

dangerous for the citizens of Georgia and it is both illegal and dangerous for foreigners. There is a threat of illegal detention from Russian occupation forces and Russian-backed Abkhaz separatist authorities.

From the pass, we turn left and go along the ridge of the range. After several hundred meters, we will see Patara Okrostskhali Lake (Little Goldenwater Lake) downwards and descend to it. The lake is the last point of our tour.

We have the same back way to Ormeleti Valley and Lukhi village.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020